



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 39/ს  
26/01/2023

39-21-4-202301261155



**ქ. სენაკში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის  
(ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის  
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა N172-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა N172-ში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ 695 მ<sup>2</sup> ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 44.01.29.551). ავტოგასამართი სადგურის GPS კოორდინატებია: X – 258329 Y – 4683524. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილოეთით, დაახლოებით 54 მეტრის დაშორებით. ავტოგასამართი სადგურის 500-მეტრიან რადიუსში სხვა მსგავსი პროფილის ობიექტები არ ფუნქციონირებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება ერთი 55 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი, რომელიც გადაიტანება 4 ნაწილად, რათა მოხდეს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის განთავსება. ბენზინის ტიპის საწვავის შენახვის მიზნით გათვალისწინებულია ორი ერთეული 15 ტონა მოცულობის საცავის, ხოლო დიზელის ტიპის საწვავისთვის 10 და 15 ტონა მოცულობის მქონე საცავის გამოყოფა. ნავთობპროდუქტების რეზერვუარი დამზადებული იქნება ლითონისგან (კედლის სისქე 10 მმ), დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველით (სიმაღლე – 2,5 მ; დიამეტრი: D – 0,05 მ). ნავთობპროდუქტების რეზერვუარი განთავსდება ბეტონის სარკოფაგში. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონდება და მასზე განთავსდება მარკეტისა და ოფისის შენობა, აგრეთვე ფარდულის ტიპის ნაგებობა, სადაც მოეწყობა ორი ერთეული ორმხრივი მარიგებელი სვეტი, თითოეული ბენზინისა და დიზელისთვის. ტერიტორიაზე ასევე

მოწყობა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს. ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობა სანიაღვრე წყალარინების სისტემა და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ნავთობდამჭერი. ავტოგასამართ სადგურზე სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით, საწვავი ჩაიტვირთება რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს. ავტოგასამართ სადგურზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 2 000 მ<sup>3</sup> ბენზინისა და 1 000 მ<sup>3</sup> დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, დღე ღამეში 24 სთ. ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 4-6 ადამიანს.

წარმოდგენილი ინფორმაციით ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება განხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ხოლო რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვას, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სპეციალური ავზის განთავსება, რომლის დაცლაც მოხდება საჭიროებისამებრ, მუნიციპალური სამსახურის მიერ, ასენიზაციის მანქანებით. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, რომლებიც შეიძლება დაბინძურებული იყოს ნავთობპროდუქტებით, შეიკრიბება ობიექტზე არსებულ სანიაღვრე ქსელში, საიდანაც გადაინაცვლებს ნავთობდამჭერში. შეკრებილი საწვავის ნარჩენები ამოღებულ იქნება ნავთობდამჭერიდან, დროებით დასაწყობდება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, სპეციალურ კასრებში და შემდგომი მართვის მიზნით პერიოდულად გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ საწვავის მიღებისას და გაცემისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, ხოლო გაფრქვევის წყაროებს ბენზინისა და დიზელის მიღებისა და გაცემის უბნები. სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას გაფრქვევები უმნიშვნელო მოცულობისაა და არ სცილდება ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს. წლის განმავლობაში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა, ავტოგასამართი სადგურის წარმადობის გათვალისწინებით იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმოქმნილი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები. როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, ხელთათმანები აგრეთვე სალექარში დაგროვილი ნავთობპროდუქტები), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს (500 მეტრთან რადიუსში) არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე მოქმედი ობიექტი, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაგზავნილ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრების და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩა N172-ში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო